

## საქართველოს ორგანული კანონი

### “პროკურატურის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** “პროკურატურის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონში (პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, №46, გვ. 29) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ამოწმებს თავისუფლებაადკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და ახორციელებს საპროცესო მოვალეობებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს;“.

2. მე-18 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 18.** პირთა უფლებების დაცვა და საპროცესო მოვალეობათა

წინასწარი განხორციელება დაკავებულთა მოთავსების,

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, თავისუფლების

შეზღუდვის ადგილებში.“;

ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად ჩაატაროს შემოწმებები დაკავებულთა მოთავსების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთისა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს;“.

**მუხლი 2.** ეს ორგანული კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

